



MES 7 20 0001245486



31/12/2020

ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საჯარომოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**ხათუნა ლორია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**გიორგი თუმანიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ირმა ქვეციშვილი** - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, საბჭოს წევრი;

**იზა კასრაძე** - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

**ანა მაძამია** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**ირმა ხარშილაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თამარ შენგელია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი; პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორი;

**ანა ჯავახიშვილი** - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა:**

**ქეთევან ჯაყელი** - დირექტორი;

**პანტელიმონ კლდიაშვილი** - დირექტორის მოადგილე ფინანსების, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დარგში;

**გიორგი ემინაშვილი** - საჯარო მმართველობის და ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;

**ნოდარ მეგრელიშვილი** - ხარისხის განვითარებისა და მართვის ექსპერტი;

**სალომე ყიფიანი** - ხარისხის მართვის მენეჯერი.

**სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი:**

**გელა წიკლაური** - დირექტორი;

**არჩილ კიკვაძე** - დირექტორის მოადგილე;

**თინათინ სიყმაშვილი** - სერტიფიცირებისა და ტრენინგების განვითარების სამსახურის უფროსი.

**პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**

ლევან მადათოვი;

თეა ეხვაია;

თინათინ კუპრაშვილი;

მაია ხურცილავა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:04 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებას უზრუნველყოფდა ონლაინ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. აქვე მან განმარტა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 22-ე მუხლის თანახმად, გარდამავალ პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს წევრების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში. ამასთან, გარდამავალ პერიოდად ითვლებოდა ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე პერიოდი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 7 წევრი, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა იყო უფლებამოსილი, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა საბჭოს სხდომის ზეპირი განხილვის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც

წარმოდგენდა საბჭოს სხდომის ამსახველი ოქმის პროექტის მომზადების ხელშეწყობა. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

### დღის წესრიგი:

1. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს დამატებოდა შემდეგი საკითხების განხილვა:

1. „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ“, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
2. „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ“, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
3. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ“,



საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ორივე პროგრამასთან მიმართებით მსგავსი იყო საბჭოს წევრები შინაარსობრივად გაერთიანებულ ფორმატში განიხილავდნენ პროგრამების მონიტორინგის საკითხს. საბჭოს წევრებმა, დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება და გაერთიანებულ ფორმატში განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე პროგრამის მონიტორინგის შედეგები.

**1. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა**

**2. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროგრამებთან მიმართებით დასკვნებში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 09 დეკემბერს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - თეა ეხვია. ლევან მადათოვმა დამატებით განაცხადა, რომ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებს და დაწესებულების მომართვის და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი „მოხელის მენეჯერული უნარების“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების რესურსების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კერძოდ, დაწესებულების მიერ ფართის და პროგრამის განმახორციელებელი პირების - ტრენერების დამატების მიზნით.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულება პროგრამების განხორციელებას გეგმავდა დამატებით 2 ლოკაციაზე, კერძოდ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. მან დამატებით განმარტა, რომ ორივე სატრენინგო ლოკაცია წარმოადგენდა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ექსპერტის განმარტებით, ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და არსებობდა ზემოთ ჩამოთვლილი ლოკაციების გამოყენებაზე წერილობითი შეთანხმებები (მემორანდუმი; წერილი).

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილი ჰქონდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განმარტება გააკეთა პროგრამის განმახორციელებელ ტრენერებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურებით დადგინდა ტრენერების მზაობა პროგრამაში ჩართვის შესახებ და მათი კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. ლევან მადათოვმა პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თეა ეხვია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დაეთანხმა ლევან მადათოვის შეფასებებს პროგრამებთან დაკავშირებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მზად იყო განხორციელებინა პროგრამები დამატებით ლოკაციებზე და წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების დირექტორის მოადგილემ, პანტელეიმონ კდლიაშვილმა მადლიერება გამოხატა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად და სიღრმისეულად შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა დამატებით რესურსებთან მიმართებით პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მხარეებს და საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმეს დამატების ან კითხვების სურვილი განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მხარეებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

**3. „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა**

**4. „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N5 და „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების

კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვის თაობაზე და მან განმარტება გააკეთა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დანართის სახით მოიცავდა ჩამონათვალს, სადაც გაწერილი იყო რომელ ლოკაციებზე ჰქონდა დაწესებულებას პროგრამების განხორციელების უფლება მინიჭებული. მან დამატებით განმარტა, რომ ცენტრის შუამდგომლობა სწორედ მდგომარეობდა ამ საკითხთან მიმართებით, გადაწყვეტილების დანართის ჩამონათვალში შევიდეს ცვლილება და ჩამონათვალს დაემატოს ის ლოკაციები, რომლებზეც დაწესებულებას დამატებით მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N5 გადაწყვეტილების დანართ N1-ში შევიდეს ცვლილება და N6 ჩამონათვალში მიეთითოს ის ლოკაციები, რომლებზეც დაწესებულებას დამატებით მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „პიროვნული და პროფესიული



კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის N6 გადაწყვეტილების დანართ N1-ში შევიდეს ცვლილება და N6 ჩამონათვალში მიეთითოს ის ლოკაციები, რომლებზეც დაწესებულებას დამატებით მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

საბჭოს თავმჯდომარე, ხათუნა ლორიამ პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს.

**5. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა**

**6. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის პროგრამებთან მიმართებით დასკვნებში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ კუპრაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - თინათინ კუპრაშვილი, წევრი - მაია ხურცილავა, განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 09 დეკემბერს, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. თინათინ კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის განხორციელებამდე ჯგუფსშესწავლილი ჰქონდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩაატარა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ტრენერებთან და პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან.

თინათინ კუპრაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება პროგრამების განხორციელებას გეგმავდა დამატებით 7 ლოკაციაზე, მან განაცხადა, რომ შვიდივე ლოკაცია იყო ავტორიზებული

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მან აღნიშნა, რომ ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და წარმოდგენილი იყო ლოკაციების გამოყენებაზე წერილობითი შეთანხმებები, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესახებ.

თინათინ კუპრაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ტრენერების შერჩევის პროცესში გამოიყენა სხვადასხვა კრიტერიუმები, მათ შორის საჩვენებელი ტრენინგის ჩატარება, რეზიუმეს შესწავლა, გასაუბრება და ა.შ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტრენერების კვალიფიკაცია დასტურდებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თინათინ კუპრაშვილმა განაცხადა, რომ ტრენერებისა და დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, თანამშრომლობის საწყის ეტაპზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა ტრენერებს გააცნეს პროგრამა, პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების რუკა, საგნებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა, შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ტრენერებმა შეიმუშავეს ტრენინგის განხორციელების გეგმები და სილაბუსები. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ტრენერებთან ინტერვიუების პროცესში, ტრენერთა ნაწილმა განმარტა, რომ ისინი ასევე, ჩართულები იყვნენ სასწავლო მასალის განახლების პროცესში, სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში.

თინათინ კუპრაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამების მეტი მდგრადობისთვის, სასურველი იქნებოდა, რომ ტრენერებს ჰქონოდათ წერილობითი თანხმობა გამოხატული ტრენინგის ჩატარების შესახებ ყველა ახალ ლოკაციაზე და აღნიშნული ასახულიყო მათთან გაფორმებულ წინასწარ ხელშეკრულებებში. თუმცა, ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ ტრენერებს თანხმობა ჰქონდათ გამოხატული ტრენინგების ჩატარებაზე მთელი საქართველოს მასშტაბით.

თინათინ კუპრაშვილმა პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მხარეებს და საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმეს დამატების ან კითხვების სურვილი განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელი, თინათინ სიყმაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის ექსპერტთა ჯგუფს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს.

საბჭოს წევრმა, იზა კასრაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენად მისაღები იყო დაწესებულებისთვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევა და აპირებდნენ თუ არა გათვალისწინებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არ თვლიდნენ მიზანშეწონილად, რომ გაეთვალისწინებინათ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევა, რადგან ის გარემოება, რომ აღნიშნულ შეთანხმებებში არ იყო მითითებული ტრენინგის ჩასატარებელი ლოკაციები, დაწესებულებას აძლევდა ლავირების შესაძლებლობას და თავიდან ირიდებდა ზედმეტ ბიუროკრატიულ პროცედურებს, თუმცა, მან

დამატებით აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ დადგებოდა საჭიროება აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისაკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოებასსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისაკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოებასსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

8. „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N09 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 და „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N09 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვის თაობაზე და მან განმარტება გააკეთა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დანართის სახით მოიცავდა ჩამონათვალს, სადაც გაწერილი იყო რომელ ლოკაციებზე ჰქონდა დაწესებულებას პროგრამების განხორციელების უფლება მინიჭებული, მან დამატებით განმარტა, რომ ცენტრის შუამდგომლობა სწორედ მდგომარეობდა ამ საკითხთან მიმართებით, გადაწყვეტილების დანართის ჩამონათვალში შევიდეს ცვლილება და ჩამონათვალს დაემატოს ის ლოკაციები, რომლებზეც დაწესებულებას მდამატებით მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილების დანართ N1-ში შევიდეს ცვლილება და N6 ჩამონათვალში მიეთითოს ის ლოკაციები, რომლებზეც დაწესებულებას დამატებით მიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N09 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N09 გადაწყვეტილების დანართ N1-ში შევიდეს ცვლილება და N6 ჩამონათვალში მიეთითოს ის ლოკაციები, რომლებზეც დაწესებულებას დამატებითიენიჭა პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 14:28 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
კასრაძე იზა

